№ 218. შაბათი, 7 ივნისი. 1896–1897 შაბათი, 7 ივნისი № 218.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6–7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ოთხი |4| მანათი.

„აღმოსავლეთის მაღაზია“

ძმათა მერკვილაძეთა

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ.

ისყიდება ნამდვილი ჩინეთის

ჩესუნჩა და ფანზა

იაპონიის აბრეშუმეულობა, ქართული დარაიები, შალეულობა და სხვა ნივთები.

მაღაზიას აქვს საუკეთესო სამკერვალო ჩვენებურ ტანისამოსისა.
(15—6)

ტელეფონი № 346



ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—59 ჯ.)

„ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 14 ივნისს, შაბათს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

ამხანაგობის წევრთა.

კრების მიერ გასარჩევი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1896 წლის ანგარიშისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1897 წლისა.
3. ამორჩევა გამგეობისა, სარედაქციო და სარევიზიო კომისიების წევრთა.
4. მიღება ახალ წევრთა და
5. დივიდენდის განაწილება.

Правленіе „Кутаисскаго Книго-Издательскаго Товарищества“ симъ объявляетъ, что іюня 14-го сего года, въ субботу, въ 8 часовъ вечера назначено

ОБЩЕЕ СОБРАНІЕ

членовъ Товарищества.

Предметы для обсужденія на собраніи:

1. Разсмотреніе и утвержденіе отчета за 1896-ой годъ.
2. Смѣта за текущій 1897-ой годъ.
3. Выборы членовъ правленія, редакціонной и ревизіонной коммиссій.
4. Пріемъ новыхъ членовъ и
5. Распредѣленіе дивидендовъ.

(3—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (ჯ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს— **ფ. ა. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას— **ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**
(ჯ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

5 ივნისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო შთამომავლობით საპატიო მოქალაქეთ დიმიტრი პეტრაკოკინს, ანდრია სპარიმანგს და გიორგი ევმარფოპულოს გამართონ იმპერიაში ხელის-მოწერა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს დაზარალებულ ბერძენთ ოჯახთა სასარგებლოდ და ამ აზრითვე შესდგეს კომიტეტი, რომლის წევრებადაც თვითონვე უნდა იყვნენ.

პარიზი. „თანხმობის“ მოედანზე, სტრასბურგის ძეგლის წინ ააფეთქეს ყუმბარა. არაფერი დაზარალებულა და ხალხთაგან არავინ დაშავებულა. აფეთქება ძლიერი იყო. თავ-დაპირველმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ასაფეთქებელი იარაღი ქვაბი ყოფილა. იარაღის ნამტვრევებმა ცოტად დააზიანა ძეგლის აივანი. ლეპინმა დაიწყო გამოძიება. აფეთქების დროს წვიმა მოდიოდა, რის გამოც მოედანზედ ხალხი არა ყოფილა. რივოლის ქუჩის კუთხეში სისხლის კვალი უპოვნიათ. დაპატიმრებულია ორი კაცი, რომელთაგანს ერთს ნამტვრევები მიჰქონდა, თურმე. პოლიციის კომისარი უკვე შეუდგა ამ კაცების გამოკითხვას.

კალკუტა. ასამადგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რა დიდი ზარალი მოუხდენია მიწის ძვრას იქ. შილლონგში ყველაფერი მიწასთან გაუსწორებია; ბევრი ხალხია დახოცილი. გაუხატს დიდი ზარალი მიაყენა, თურმე, მიწის ძვრამ. ქუჩებში ყველგან ჰპობებია. რკინის გზა სრულიად გაქრა. ასეთსავე აოხრებას და და ხალხის დახოცვის ამბებს სხვა ადგილებიდგანაც იუწყებიან. ბევრგან მიმოსვლა შეჩერებულია.

კონსტანტინეპოლი. ის ამბავი, რომ ვითომც ახლად შეუკვეთნიათ მაუზერის თოფები, ტყუილია. მონასტირის, სალონიკის და სმირნის ვილაეტებიდგან გამოწვეული მუსტაგავიზებისგან ცალკე დივიზია არ შესდგება, ესენი დარჩებიან იმ ადგილებში, სადაც მეციხოვნენი არ არიან.

5 ივნისი.

პეტერბურგი. ბიულეტენი: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასული თავს კარგადა გრძნობს. მშობ. რობის ხანა საუცხოვოდ ბოლოვდება. დიდის მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის ჯანმრთელობაც მეტად კარგად არის.

პარიზი. ელჩები კონსტანტინეპოლში ჯერ ისევ ჰბჭობენ. განსახილველად შემდეგი საგნები აქვთ: თესალიის საზღვრების გამიჯვნა, სამხედრო კონტრიბუცია და კაპიტულიაციის შესახებ საქმეების გარდაწყვეტა.

პარიზი. რომიდამ იუწყებიან დეპეშით, რომ ახალმა რუსეთის ელჩმა ჩარიკოვმა პირველი დარბაზობა გარდაუხადა კარდინალს რამპოლლასა. კარდინალმა მადლობა გადაუხადა რუსეთის დიპლომატს, რომ თავისის მთავრობისაგან თანხმობა მიუტანა რუსეთში შვიდის რუს-კათოლიკეთა ეპისკოპოსის დანიშვნის დამტკიცების შესახებაო.

„ტაიმს“-ში დაწვრილებით არის აღნიშნული ინგლის-ჩინეთის ახალი ხელ-შეკრულობა. ინგლისთან შეთანხმებისაგამო ჩინეთი უთმობს იუნანში მთელ მხარეს 400 ოთხ კუთხ. მილს და იჯარით აძლევს ჩინეთსა და ბირმანიას შორის მთელს ტერრიტორიას. გარდა ამისა ჩინეთი თანხმობას აცხადებს, რომ ინგლისმა იუნანში თავისი ელჩები იყოლიოს და ჰპირდება ამ ვეებერთელა მხარეს ორი ქალაქი ვაჭრობისა და წარმოებისათვის გახსნას. დასასრულ, ინგლისი კონცესიას მიიღებს დაედადამ ბირმანიის აღმოსავლეთ საზღვრამდე რკინის გზის გასაყვანად.

ვაშინგტონი. ჰავაის კუნძულთა შეერთებულ შტატებთან შეერთების ხელ-შეკრულობას ორთავ სახალმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. იაპონიის წარმომადგენელმა ამის გამო შეერთებულს შტატებს წერილობითი წინააღმდეგობა წარუდგინა.

ახალი ამბავი

*** **ქართულის თეატრის საქმე.** გუშინ იმით დავასრულეთ ჩვენი წერილი, რომ ბ. ივ. მჭედლიშვილის მოხსენებამ „ყარაევის ხოროზე“ ჩოჩქოლი ჩამოაგდოო, როგორც საზოგადოებაში, ისე გამგეობაში. გამგეობის წევრნი ერთმანერთს განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ. პასუხიკი საჭირო იყო, რადგან მას თხოულობდა საზოგადოება. ბოლოს თავმჯდომარემ გამგეობისას აუხნა კრებას, რომ საქმეებში არის საბუთები იმისი, რომ „ყარაევის ხორო“ არსებობს. პირველი საბუთია პროტოკოლი გამგეობის თათბირისა, რომელზედაც გადაწყდა საკითხი სამუდამო ხოროს შედგენაზედ, მეორე პროტოკოლი დაგიმტკიცებთ, რომ გამგეობამ თავისი აზრის განხორციელება დაავალა ერთს თვისს წევრთაგანს. მესამე და უტყუარი საბუთია, წერილობითი მოხსენება იმავე წევრისა, რომ იგი ბრძანდებოდა ბ. ყარაევთან, ინახულა ხორო. დიახ, ეს წევრი გამგეობისა წერილით მოახსენებს გამგეობას, რომ ხორო არის და სიმღერებსაც სწავლობს. ჩვენ რა საბუთი გვქონდა, რომ არ გვერწმუნა სიტყვა მოხსენება ჩვენის ამხანაგისა, თქვენის რჩეულისაო.

როგორც ჰხედავთ, ბატონებო, ხორო არსებულა და არის კიდევაც.... მხოლოდ დრამატიულ საზოგადოების ქაღალდებში. ხორო—ქაღალდებში! რა ჩინებული მასალა იქნებოდა „Мертвыя души“-ს გენიოსურ ავტორისათვის. საქმე ის არის, რომ ბ. ყარაევისთვის, რასაკვირველია, მართლა მიუცია გამგეობას 200 მანათი; რასაკვირველია, მართლა სდომებიათ ხოროს შედგენა,—ამაში ჩვენ

ბეში არ შეგვაქვს. მხოლოდ ხორისტები არ შეკრებილან, ანუ შეკრებილან ერთს-ორს საღამოს სამიოდე კაცი და ამით დამთავრებულა ხოროს არსებობა. მერე ყველას დაჰვიწყებია ხოროს საქმე, იმ წევრსაც-კი გამგეობისას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თვალ-ყურის დევნება ხოროსთვის. დაჰვიწყებია ეს საქმე ბ. ყარაევსაც. და დარჩენილა ხორო მხოლოდ... გამგეობის ქაღალდებში. ყოველივე ესე ფრიად სასაცილო და სახუმარო იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. როგორ, განა იმ საზოგადოებას, რომელმაც სეზონი დეფიციტითა და ზარალით შეასრულა, არ უნდა ეზრუნვა, რომ ყოველივე გროში საზოგადოებისა ნაყოფიერად ყოფილიყო დახარჯული? 200 მანათი გაიღეს და აღარ-კი იკითხეს, თუ რა კეთდება იმ ფულით? როგორ, გამგეობას საზოგადო კრებაზედ უნდა ახალ-ამბად შაეტყო, რომ „ყარაევის ხორო“ არ არსებობს?

ასეთი საქციელი გამგეობისა სწორედ რომ ღირსია სამართლიანის წყრომისა საზოგადოების მხრივ.

მეორე საგანი, რომელშიაც იმავე გამგეობამ ვერ გამოიჩინა უნარი და შნო, არის რეპერტუარის შედგენა. 19 დრამა წარმოადგინეს წარსულს სეზონში და მხოლოდ 12 კომედია. ყველას მოეხსენება, რომ ჩვენს აწინდელს ტრუპაში დრამატიული არტისტები სრულიად არ მოიპოვებიან, თუ არ გავიხსენებთ ერთადერთს ვ. ალექსი-მესხიშვილს, რომელიც ავადმყოფობის გამო წარსულ სეზონში ძალიან იშვიათად იღებდა მონაწილეობას. კომიკური არტისტები და ისიც დიდად ნიჭიერნი ბლომად გვყავან: ვასილ აბაშიძე, გედევანოვი, საფაროვის ქალი, გაბუნიას ქალი, შათირიშვილი და სხვები. ასეთი შედგენილობა ჩვენის ტრუპისა ცხადად გვაჩვენებს, რომ ჩვენს რეპერტუარში საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა კომედიებს და მხოლოდ შიგ-და-შიგ იშვიათად უნდა ეთამაშნათ დრამა. დრამ. საზოგად. გამგეობა-კი სრულიად წინაამდეგად მოიქცა, რათა და რისთვის? რათ აძლევდნენ ჩვენს არტისტებს ისეთს პიესებს, რომლის თამაშობა მათს ძალ-ღონეს აღემატება და არა ისეთებს, რომლებიც სწორედ მათს ნიჭს შეეფერება?

უხეიროდ ნათამაშევი დრამები—აი მიზეზი, რატომაც საზოგადოებამ პირი უზრუნა წარსულ სეზონში ქართულს თეატრს. სიტყვა-მრავალი გამგეობა-კი ათას სხვა მიზეზებს იხსენებს და ეს ცხადი და უეჭველი მიზეზი-კი გამოჰპარვია სათვალავიდამ.

მესამე მარცხი გამგეობისა კრებაზედ აღნიშნა ბ. არ. ახნაზაროვმა. „თეატრში თუ ხალხი ზოგჯერ იცინოდაო, მოახსენა ამან გამგეობას, იმიტომ კი არა, რომ ამის საბუთს იძლეოდა თვით პიესა ანუ არტისტის მოხდენილი თამაშობა, არამედ ის შეუძლებელი და სამარცხვინო ქართული ენა, რომლითაც ახალი პიესები იყო ნათარგმნიო“.

საქმიდგან აღმოჩნდა, რომ ამ საგნისთვის სრულიად არ მიუქცევია ყურადღება გამგეობას, თუმცა უარიც არა ჰყო ქართულის ენის წამება და ჯვარზედ ცმა ქართულს ენაზედ.

აი კვლავ მიზეზი, თუ ჩვენი გაზეთი რად ეძახდა ამ გამგეობას „დამატებულს“ და „დარომტრიალს“ გამგეობას. ისიც-კი ეთქმოდა, ღვთის წინაშე, გამგეობას; „თქვე დალოცვილებო, მაქვს და არა ვსჭამო“.

სხვა საგნებზედ მერე მოგახსენებთ.

⁂ **ნავთის ახალი შადრევანი.** კ. ი. ზუბალოვის ადგილში (ბაქოში) ბიბი-ჰეიბატში ამოხეთქილა ახალი ნავთის შადრევანი, რომელიც, თურმე, ერთის დღისა და ღამის განმავლობაში 300,000 ფუთამდე ნავთს იძლევა და, ჰფიქრობენ, ეს რაოდენობა ნავთისა მალე შესამჩნევად იმატებსო.

⁂ **ქალაქის ახალი შენობის გამო.** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ახალი სახლი აგოს და შიგ მოათავსოს ცეცხლ-მქრობელი რაზმი, ბატონ პოლიცმეისტრის სადგომი, კანცელარია და სხვა ქალაქს დაწესებულებანი.

ამ სახლისათვის საჭირო ადგილს უთმობს ქალაქს ექიმი ხალათოვი თავისს საკუთარს ადგილს ცეცხლის-მქრობელის რაზმის ეხლანდელის სადგომის მახლობლად. ფასად თხოულობს ბ-ნი ხალათოვი 65 მანათს თითოეულ ოთხ-კუთხედ საჟენ მიწაში. ამ ადგილის დასათვალიერებლად უკვე ადგილობრივ ყოფილა ქალაქის გამგეობისაგან დანიშნული კომისია და რა გადასწყვიტა, ჯერ არ ვიცით.

⁂ **კურს-დამთავრებულ ქართველთა რიცხვი III გიმნაზიაში.** წრეულს ტფილისის III გიმნაზიაში კურსი 27 კაცმა დაამთავრა. ამათში 10 რუსია, 13 სომეხი, 2 ქართველი, 1 ებრაელი და 1 გერმანელი. აი ქართველების გვარებიცა: თავ. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მეფისაშვილი.

⁂ **კავკასიის რკინის გზით** გადაუზიდავსთ იანვრისა, თებერვლისა და მარტის თვეებში სულ 1,622,598 ფუთი ტვირთი. მათ შორის სიმინდი 557,667 ფ., ხორბალი—466,554 ფ., ქერი—226,600 ფ., ფეტვი—17,797 ფ., ცერცვი, მუხუდო და სხ.—10,399 ფ., პურის ფქვილი—254,315 ფ., ქატო და სხ.—23,044 ფ. და ზეთისხილი—43,092 ფ.

⁂ **სია პირველ ხარისხით კურს-დამთავრებულთა სასულიერო სემინარიაში.** ტფილისის სასულიერო სემინარია წელს პირველის ხარისხით 16 შაგირდმა გაათავა, ხოლო დანარჩენი 13 შაგირდი მეორე ხარისხით გამოვიდნენ. პირველ ხარისხით კურს-დამთავრებულთა შორის ერთი ოსია და ერთიც რუსი. მოგვყავს მათი სია 1) კესაევი იერემია (ოსი), 2) გაბარაშვილი კონსტანტინე, 3) ზარაფიშვილი დავით, 4) მახარაძე გრიგოლი, 5) გორგაძე სერგეი, 6) შალვაძე დიომიდე, 7) გამზარდია გრიგოლი, 8) გორდულაძე რაჟდენი 9) ლუკიანაშვილი ივანე. 10) თოდორაია ანდრია, 11) ივანიცკი ვლადიმერი, 12) ჯინჭელეიშვილი ხარიტონი, 13) კალანდარიშვილი ირაკლი, 14) ნასრაძე გრიგოლი, 15) ნუცუბიძე გერასიმე, 16) სმირნოვი ალექსი (რუსი). ამათში სასულიერო აკადემიაში 5 ყმაწვილსა ჰგზავნის სემინარიის მმართველობა: სამს—სახელმწიფო ხარჯით და ორსაც თავის ხარჯით. დანარჩენ 11 შაგირდს ყველასა აქვს უფლება ტომსკის უნივერსიტეტში შევიდნენ. ტომსკის გარდა სხვა უნივერსიტეტებშიაც შეუძლიანთ შესვლა მხოლოდ ამაზე ცალკე უნდა სთხოვონ საერო განათლების მინისტრს. უეჭველია, ეს ყმაწვილები ისარგებლებენ თავიანთის უფლებით და როგორმე დაეწაფებიან უმაღლესს სწავლასა. თორემ აქაურ გიმნაზიებიდან ისედაც ცოტანი მიდიან ქართველები უმაღლეს სასწავლებლებში.

⁂ **არჩილ ხვედელიანის დასაფლავება.** ორშაბათს, 2 ივნისს, დილის ცხრა საათზე, თავის ოთახიდგან არჩილ ხვედელიანი კალო-უბნის ეკკლესიაში მიასვენეს; გასვენებას აუარებელი ხალხი დაესწრო, ყველა წოდებისა. უმეტესი ნაწილი-კი ხელოსნები იყვნენ. წესის აგების შემდეგ მიცვალებული გალავანში დაასვენეს, აქ ბ. გვარამაძემ წაიკითხა ბ. ზ. ჭიჭინაძის მიერ დაწერილი სიტყვა; ხელოსნებმა წაუკითხეს თავიანთ მიერ დაწერილი ლექსები, რომლებშიაც აწერილი იყო განსვენებულის კაი-კაცობა, ყველასათვის გულშემატკივრობა, შემდეგ ბ. იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც დაასურათა არჩილის ცხოვრება, მისი მიმართულება და სთქვა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამგვარ მოვლენას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო, დიდი ადგილიც უჭირავსო: ეგენი უფრო ბევრს აკეთებენ ჩვენი მდაბიო ხალხისთვის, ვიდრე „ჩვენებური“, ზოგიერთი, ინტელიგენტის ტყავში გამოხვეული, ყმაწვილ-კაცებიო და სიტყვა ლექსით გაათავა, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეტის-მეტი სიცხე იყო, მაინც მრავალი ხალხი გაჰყვა სასაფლაოზე. პროცესიას მომეტებულ ლაზათს აძლევდა ახალგაზდა ქალ-რძალნი და ბალდახინი, რომელზედაც ეკიდა სამი ძვირფასი გვირგვინი მეგობრებისაგან მიძღვნილი. კუბო მაღლა გაკავებული მიჰქონდათ და ერთი მეორეს ეცილებოდნენ მის წაღებაზე. უკან მისდევდა 700-მდე სული კაცი. ყველა გაკვირვებით კითხულობდნენ: ვინ არის ეს, რომ ამდენი ხალხი მიჰყვებაო?!.

სასაფლაოზე წარმოსთქვა სიტყვა მამა მაჭარაშვილმა და აღწერა განსვენებულის ცხოვრება, კეთილი მიმართულება და სთქვა, რომ დიდად სასიამოვნოდ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ ეს მოვლენაო, რომ ღვინის სარდაფშიაც-კი მოიპოვებიან ასეთი ხალხის გულშემატკივარი ყმაწვილ-კაცებიო. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამ მოვლენას სხვა კიდევ წამბაძველები გამოუჩნდებიანო. „ეს გარდაიცვალა, მაგრამ გზა მისგან თელილი, მაინც დარჩება“ და უნდა ვნუგეშობდეთ ამითაო... მამა მაჭარაშვილის სიტყვამ დიდი ზედ-მოქმედება იქონია ხალხზე. სასაფლაოზედ აგრეთვე წარმოსთქვეს სიტყვები: ი. იმედაშვილმა, ს. ჭელიძემ და სხვებმა, რომლებმაც სთქვეს, რომ განსვენებულის პატივის საცემად უნდა მისი წიგნები გადავსცეთ მომავალ სახალხო ბიბლიოთეკას, რომლისათვის განსვენებული სიცოცხლეში დიდად იღვწოდა. მისისავე პატივის ცემის ნიშნად აქ შეგროვილებმა შევკრიბოთ მცირეოდენი თანხა, რომლითაც რაიმე სახალხო წიგნი გამოიცეს, და თან დავურთოთ მისი ცხოვრების აღწერაცო. ამ წიგნის შემოსავალი გადიდება არჩილის სახელით სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და ამიტომ, ჩვენ გვგონია, თითო აბაზს ჩვენგანი არავინ არ დაიშურებს იმის პატივსაცემათო. ამ დროს ხალხმა დაიგრიალა: დიდის სიამოვნებით, თუნდა მეტიც იყოსო. სიტყვა გათავებული არ იყო, რომ ხალხში ფულის გროვება დაიწყო და სამ თუმნამდის შესდგა.

კავკავი.

საზოგადო კრება აქაურის ქართველებისა.

კვირას, 1 ივნისს, კავკავის ქართული სკოლის კომიტეტის დადგენილობის თანახმად, ქართული სკოლის დარბაზში გაიმართა საზოგადო კრება კავკავში მცხოვრებელ ქართველებისა. საზოგადოებას წარედგინა განსახილველად შემდეგი საგნები: ა) სარევიზიო კომისიის მოხსენება, ქართულის სკოლის შემოსავალ-გასავლის შესახებ, 1895 წელში. ბ) ანგარიში შემოსავალ-გასავლისა, წარსულის 1896 წლისა. გ) აღრჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა, წარსულის წლის ანგარიშის შესამოწმებლად; დ) ეთხოვოს საზოგადოებას 500 მანეთი ფული სკოლის შენობის გასადიდებლად და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ე) სკოლის ეზოს შელობვა. ვ) ღვინის სარდაფის გამართვა საამხანაგოდ, თანახმად ბატ. იოსებ ვასილის ძის მოზდოკელიშვილის წინადადებისა და ზ) მოხსენება საზოგადოებისათვის იმ განკარგულებისა, რომელიც მოახდინა კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა, ქართველების თხოვნის გამო კავკავში ქართველთათვის ცალკე სამრევლოს გახსნაზე და საკუთარის მღვდლის დანიშვნაზე. საზოგადოება ბლომად შეიკრიბა. კრების თავმჯდომარედ იყო თავადი ეროთეოზ გიორგის ძე სიდამონოვ-ერისთავი. კრებას მოხსენდა პირველად მოხსენება სარევიზიო კომისიისა, რომელიც შეეხებოდა 1895 წლის, შემოსავალ-გასავლის საქმეს და წიგნთსაცავის შემოწმებას სკოლაში. 1896 წლის განმავლობაში, წინა წლიდგან დარჩენილთან ერთად, შემოსავალი ყოფილა 2360 მ. 17 კ. გასავალი 1569 მ. 72 კ. პირველ იანვრისათვის, 1896 წლისა დარჩენილა 790 მ. 45 კ. კრებამ მოისმინა დაწვრილებით ყველა ანგარიში შემოსავალ-გასავლის შესახებ და დაამტკიცა. შემდეგ კრებას მოხსენდა ანგარიში წარსულის 1896 წლისა, რომლიდგანაც სჩანს, რომ წლის განმავლობაში, სხვა-და-სხვა წყაროებიდგან შემოსავალი ყოფილა 1143 მ. 29 კ. დახარჯულა, 1565 მანათი 75 კ. ამ ნაირად, როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, გასავალი მეტი ყოფილა 422 მ. და 46 კაპეიკით, რომელიც შევსებული იქმნა 1895 წლიდგან, დარჩენილის თანხიდგან. საზოგადოების ყურადღება იქმნა მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოების თანხა ამ ჟამად არა თუ იზრდება შესაფერისად და სასურველად, არამედ თანდათან კლებულობს და ეს გარემოება ფრიად სამწუხაროა, რადგანაც საშუალების მოკლებით ძნელია წარმართვა იმისთანა საქმისა, რომელსაც ხმარდება და რომლისთვისაც დანიშნულია საზოგადოების საერთო თანხა. კრებამ ფრიად საწყენად მიიჩნია ეს გარემოება და დაიწყეს ლაპარაკი, სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება საზოგადოების თანხის გადიდება ამ ჟამად. ზოგმა წარმოსთქვა აზრი, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს უფლება, ერთხელ მაინც, სახალხო სეირნობის გამართვისაო და, თუ ამ უფლებას მოვიპოვებთ, მაშინ არა გვიშავს-რაო. მაგრამ კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახალხო სეირნობის შესახებ უფლების მოპოვება ძნელია, მაგრამ თუ კი შეიძლება ამ სიძნელის დაძლევა, როგორმე—ეს საუკეთესო წყარო იქმნება ხარჯის დასაფარავად და სკოლის საქმის ნივთიერ გასაუმჯობესებლად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ წინად სკოლის სასარგებლოთ ყოველ წელს ჰმართავდნენ სახალხო სეირნობას ლატარია-ალეგრით. ამით ედგა სასწავლებელს სული და ეს იყო აგრეთვე თავი დამხმარებელი სკოლისათვის საკუთარის შენობის აგებაში, მაგრამ ამ რამდენისამე წლის წინად, ახლად გამოცემული კანონის ძალით, მთავრობა ნებას არ აძლევს აქაურს საზოგადოებას, ჰმართოს სახალხო სეირნობა, და ამით საზოგადოებას, სამწუხაროდ, მოაკლდა ის ერთად ერთი საუკეთესო წყარო, რომელიც ხელს უწყობდა, წარემართა საწყალი ღარიბი ხალხის შვილების სწავლა-აღზრდის საქმე სასურველად. ამ სამის წლის წინად, როდესაც სასწავლებლის საქმე ნივთიერად დიდს გაჭირვებაში იყო, ადგილობრივმა მთავრობამ უკანასკნელად დართო ნება სახალხო სეირნობის გამართვისა იმ პირობით, რომ შემდეგში ამნაირის თხოვნით არ მიემართათ. ამ გარემოებამ აქაური ქართველობა ძალიან დაალონა, მაგრამ რას იქმა, როდესაც სხვა გზა არსად იყო. ამიტომ დღესაც აქაურ ქართველთა გულშემატკივარნი იმის ცდაში და მეცადინეობაში არიან, რომ რაიმე სამუდამო წყარო მოუპოვონ სკოლას და დააყენონ იგი ნივთიერად მტკიცე ნიადაგზედ. კრებაზე ბატონმა ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილმა განაცხადა, რომ უფლების მოვება, სეირნობის გამართვის შესახებ, ამ დროში ძნელი საქმე არ არის, თუ-კი მივანდობთ ერთს საპატიო პირს ვისმეს, რომ იშუამდგომლოს მთავრობასთან და დიდ-კაცებთან ამის თაობაზედ და მოგვცენ უფლება სეირნობის გამართვისაო. კრებამ სასიამოვნოდ მიიღო ეს აზრი და ისურვა მისი განხორციელება. ბატ. სარაჯიშვილმა შენიშნა აგრეთვე ის, რომ სასურველია ყველა ნივთიერი შემოწირულობაც სკოლის სასარგებლოდ აღნიშნული იქმნას დავთრებში ფულად, რადგანაც ამ ჟამად ძნელია გაიგოს კაცმა, თუ რა უჯდება საზოგადოებას სკოლის შენახვა წლიურად. ეს აზრი ყველას მიერ შეწყნარებულ იქმნა და ამისათვის კრებამ საჭიროდ სცნო შემდეგში მისი სისრულეში მოყვანა. ამის შემდეგ კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის წევრებად: ილ. გიორ. ბაქრაძე, ნ. თ. გუბნელოვი და ივან მიხეილის ძე ჩითავიშვილი, რომელთაც დაავალა შემოწმება და განხილ

რაჭიდან ახლად ჩამოსულნი, განსვენებულის ძმები თან სტიროდნენ და თანაც ალტაცებაში მოდიოდნენ. —„ძმაო არჩილ! რაჭისკენ წასვენებას გიპირებდით და თურმე რამდენად შევცდებოდით! რავა გვეგონა, თუ ამდენი კარგი მეგობარები და ნასწავლი კაცები გყვანდა ნაცნობები; ეს ამბავი რომ მამაშენს აცნობა დაწვრილებით, იმდენათ არც ის გაიხეთქს გულს, რადგან მკვდრათ აღარ ჩაგრიცხავსო და სხვ.—მისი ალა გრიგორიევიც საშინლად სტიროდა და ვერ გამოეთქვა ის მწუხარება, რითაც იტანჯოდა: რას ვიფიქრებდი, თუ ამდენათ საქები იყავი, თორემ შენთვის თავს გადავდებდი და ყოველ კეთილ სურვილს შეგისრულებდი, შეძლებისადაგვარადო.

ხალხი ძლიერ ჩაფიქრებული დაბრუნდა სასაფლაოდან ყველა იმ სიტყვებისა და პატივისცემის შემდეგ, რაიც მიაგეს განსვენებულს მისმა ნაცნობებმა და ნათესავებმა. კაცი მაშინ იქნები, ძმაო, თუ შენც ასე დაგმარხავენ და გაზეთებში მთელ ქვეყანას შეატყობინებენ შენს კაიკაცობასო, ამბობდა ხალხი. და ეჭვი არ არის, რომ ბევრი, გული და გონება ჩაკირული, განსვენებულის ამ რიგად დასაფლავებამ ღრმად ჩააფიქრა საზოგადოდ ჩვენს საერო დღეგძელობაზე და კერძოდ ყოველის მოვალეობაზედ.,.

40-ძე.

⁂ **„მოამბე“ № VI.** ჩვენ მივიღეთ „მოამბის“ № VI, შემდეგის შინაარსისა: I—მოლიპულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება). II„—დავდივარ ტყეში და ვტირი...“—ლექსი ჰეინედან, თარგმანი შ. მღვიმელისა. III—...გამარჯვება ჩვენია!—მოთხრობა ემილ ზოლასი, თარგმანი X.—ისა. IV—მიჯაჭული პრომეთე.—დრამა ესხილისა (დასასრული). V—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მეორე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, VI—„მთათ მითხრეს...“—ლექსი ვაჟა-ფშაველასი. VII—„...სულ ერთია!..“—ეტიუდი შ. არაგვისპირელისა. VIII—სამურზაყანო.—VI-- VII—VIII.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი (დასასრული). XI—ერობის მნიშვნელობა ჩვენთვის.—თ. გიორგი თუმანიშვილის წინა„დადება.—მისი სახვალინდლოდ გადადება.—ჩვენში ერობაზე წერა და საუბარი 1871-ში.—„არ გვინდა, არაო!“—დაგვბეგრეს, თუ არა?—პოლიცია, მისი ყოვლის-შემძლებლობა და ყოვლის შეუძლებლობა.—რუსეთის ერობა.—მისი თავდაპირველი შეცდომა.—შემდეგი მისი ღვაწლი და სიკეთე ერის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ზარალის ზღვევაში, მიწა წყლის შეძენაში, მეურნეობის დახმარებაში და სხვ. და სხვ.—რუსეთის ერობამ რა გაარიგა?—უზენაესი ჩვენი საქმე და საჭიროება ნ. ნიკოლაძისა.

ქრონიკა:

X. ჩვენსა და სხვაგან.—I. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება.—II. რა იხსნის თავად-აზნაურობას დაღუპვისაგან.

დამატება:

XII. საქართველოს სიძველენი.

XIII. განცხადებანი.

⁂ **მადლობის გამოცხადება შეწირულებისათვის.** ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ივლიანე ხეთერელს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩვენს მომავალ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სხვა-და სხვა ქართული წიგნები.

ჩვენი შემწეობის მოწადეს შეუძლიან მოწყალება გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: Самтреди, учителю Парфенію Каджая.

⁂ **გურია. ახალი მოწერილობა გუბერნატორისა და მაზრის უფროსისა.** ამ ჟამად ოზურგეთის მაზრის უფროსი დადის სოფლით-სოფლად რწმუნებულ მისდამო მაზრაში, ჰკრებს ხალხს სოფლის კანცელარიებთან, აცხადებს და არკვევს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ახალის მოწერილობის შინაარსს. ეს მოწერილობა ბ-ნის გუბერნატორისა გამოუწვევია ზუგდიდის მაზრაში გახშირებულსა და წრეს-გადასულ ავ-კაცობას და, რადგანაც ავ-კაცობა ცოტათი თუ ბევრად გადამდებ სენის თვისებისაა, გუბერნატორს საჭიროდ დაუნახავს სხვა მაზრის მკვიდრთა გაფრთხილება. გუბერნატორის მოწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ იმ საზოგადოებას, რომელშიაც ავაზაკობა იჩენს თავს და ავაზაკობის ჩამდენნი აღმოუჩენელნი იქმნებიანო, ჩამოერთმევა უფლება მამასახლისის არჩევისაო. ასეთ საზოგადოებაში თვითონ მთავრობა დანიშნავს მამასახლისსა და დარაჯებს, ხოლო საზოგადოებამ უნდა იკისროს იმათთვის ჯამაგირის ძლევაო. მამასახლისს მიეცემა სამასი მანათი, თითოეულ დარაჯს-კი ას-ოთხმოცი მანათიო. ზუგდიდის მაზრის ერთს საზოგადოებაში, ვგონებ დარჩელში, მთავრობას კიდევაც ულონებია ეს, თუმცა სამწუხარო, მაგრამ უკანასკნელი, ღონე. მოწერილობაში ისიც არის მოხსენებული, რომ სამაგალითო მყუდროება ამ ხანად სუფევს ლეჩხუმის მაზრაში და რამდენადმე ოზურგეთის მაზრაში და ბათომის ოლქშიო.

ბ-ნი ალშიბაია მადლობის ღირსია, რომ გუბერნატორის ასეთი მოწერილობა თავის სავსებით და სიმძიმით გააგებინა ხალხს, და მარტო ფორმალურად აღსრულება მისი არ დასახა მოვალეობად, როგორადაც ეს მთავრობის მრავალ მოხელეს სჭირს.

სოფელ აკეთში, 20 მაისს, მე თითონ მოვისმინე, თუ რა გულ-დადებით და დაწვრილებით განუმარტა მაზრის უფროსმა აზრი გუბერნატორის მოწერილობისა და ბოლოს რა ვრცელი დარიგება მისცა. დაუჯერებელი და შეუძლებელიაო, სთქვა მაზრის უფროსმა, რომ საზოგადოებამ არ იცოდეს, ვინ ავკაცობს, ვინ ხელ-მანკიერობს და ვინ არღვევს მყუდრო ცხოვრებას უმეტესობისასო. თუ იმათ იმდენად გასწყრომიათ ღმერთი, იმდენად დაუვიწყნიათ ადამიანობა, რომ არაფრად გაგდებს თქვენ, არაფრად აგდებს თქვენს ცოლშვილს, თქვენ სიცოცხლეს, თქვენს ქონებას, თქვენ მყუდროებას; თქვენ რაღად უნდა გქონდეთ იმათი რიდი და კრძალვა?—მიეცით მართლ-მსაჯულებას და მან იცის იმათი წამალიო. ვიღაც გაწუწკებულ და განადირებულ კაცების გულისთვის რად უნდა დაჰკარგოთ უმაღლესად ბოძებული უფლება მამასახლისის არჩევისა და რად უნდა ჩავარდეთ, უმისოდაც ნივთიერად გაჭირვებულნი, უარეს განსაცდელში, გარდასახადებშიო და სხვ.

აქვე გაიგო მაზრის უფროსმა, რომ აქაურს დუქნებში ზოგიერთი ვაჭატონები ბანქოს თამაშობით ერთობიანო და ძალიან განრისხდა: რას ჰქვია ბანქოს თამაშობა! ვინ მისცა სოფლის კაცს ამ შევიწროებულ დროს ან მოცალეობა და ან ფული ბანქოს სათამაშოდო! აქედამ იწყება კაცის გარყვნა და გაავაზაკებაო. უბრძანა მამასახლისს, რომ ამიერიდგან სასტიკი ყურადღება გქონდეს მიქცეული ამაზედ და, უკეთუ ბანქოს მოთამაშეთ კიდევ მიასწრო სადმე, დაუყონებლივ მომახსენე, რათა იმ მოცლილებს საქმე გავუჩინოო.

ამავე დღეს მაზრის უფროსმა დაათვალიერა ჰანჭათ-ნიგოითის გზა და ბრძანა, რომ ეს გზა დიდად კარგი და მნიშვნელოვანი იქმნება არა მარტო ჰანჭათისა და ნიგოითისათვის, არამედ ბახვისა, ასკანისა და ბასილეთისათვისაცო. მადლობა უთხრა ჰანჭათლებს, რომ მარტოდ მარტო შეგიბედავთ ამ დიდისა და საძნელო საქმისთვისო. ინახულა აგრეთვე ჰანჭათის სამრევლო სკოლა და დიდად კმაყოფილი დარჩა პატარა შეგირდების ცოდნითა. მხოლოდ ერთი რამ ვერ მოუწონა ჰანჭათლებს—ეკკლესიის შენობა დაგძველებიათ და ახლის აგებისათვის არაფერი გიზრუნიათო. მოახსენეს, რომ ეკკლესიის აგება დიდი ხანია გვინდა, მაგრამ ვერ მოვთავსდით, „პარტიობამ“ ამ წმინდა განზრახვაშიაც იჩინა თავი და ხელი შეგვიშალაო. რახან ასეაო, უთხრა მაზრის უფროსმა ადგილობრივ მღვდელს, დანიშნე ერთი დღე, გამაგებინე, მოვალ და ერთობილის ძალით შევუდგეთ ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანასო. იმედია, პატივცემული მაზრის უფროსი არ უმტყუნებს თავისს დაპირებას და მისის სახელის სამუდამო მოსაგონებლად ჰანჭათს ახლო მომავალში ექნება როგორც გზა, ისე ეკკლესიაც.

⁂ **იქიდამვე. ხანგრძლივი გვალვა.** აგერ ერთ თვეზე მეტი იქნება, რომ დედა-მიწის წიაღი აღარ გამბალა და მხვნელ-მთესველნი დიდს საგონებელში არიან ჩავარდნილნი. ბევრი ალაგი რჩება მოუხნავ-მოუთოხნავი. დღისით წარმოუდგენელი პაპანაქება და ღამით ბურუსი, რის გამო ნამიც აღარ მოდის, რომ ჭირნახული ცოტაოდნად მაინც მოაცოცხლოს.

⁂ **ქუთაისი. უწესოება.** სოფლებიდგან უხვად შემოაქვთ ქუთაისში სხვა-და-სხვს სანოვაგე: გოჭი, ქათამი, კვერცხი, ხილეულობა და სხ. საბრალო სოფლელთ ოთხივე კუთხით გზებში უხვდებიან ჩარჩი ვაჭრები და მათს ნაჭირნახულევს მეათედ ფასში ართმევენ. ზოგს წონაში ატყუებენ, ზოგს ფასში და ამ რიგად ძარცვავენ სოფლის ხალხს. მეორე მხრით-კი თვით ქუთაისის მცხოვრებლებსაც ძარცვავენ, რადგან ამ უკანასკნელთ, უეჭველათ, მესამე ან მეოთხე ხელიდგან მამასისხლად უნდა შეიძინონ თავის ოჯახისათვის აუცილებელი საზრდო. ქუთაისში ყოველგვარი ხილეულობა ადრე შამოდის, მაგრამ ამ ჩვენის ვაჟბატონ-ჩარჩების წყალობით (უმეტესად ურიებია), მას ვერ ეღირსებიან იმ დრომდი, სანამ გარეშეთ უკვე არ მოყირჭდებათ და გადასაყრელად არ შეიქნება...

სასურველია, ასეთ უსამართლობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ალაგმონ ეს ალვირ-ახსნილი ჩარჩები, რომლებსაც ნება არა აქვთ, თანახმად ქალაქის გადაწყვეტილებისა, 12 საათამდი დღისით იყიდონ გასასყიდად ან სხვაგან გასაგზავნათ სოფლიდგან შემოსული ჭირნახული.

⁂ **ქუთაისი. კურს-დამთავრებული ქართველები ქუთაისის გიმნაზიაში.** თქვენის პატივცემულის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ მე-209 №-ში დაბეჭდილი იყო, წლეულს ქუთაისის გიმნაზიას მხოლოდ თორმეტი კაცი ათავებს ქართველთაგანო. ეს ცნობა შემცდარია. წლეულს ქუთაისის გიმნაზიაში ეგზამენს იჭერს ოც-და-ცამეტი კაცი. ამათში 16 ქართველია, 12 რუსი, 2 სომეხი, 1 ბერძენი, 1 გერმანელი და 1 ებრაელი. ნაასალობით რომ ვიანგარიშოთ, დაახლოვებით, ქართველები შეადგენენ 48%, რუსები 36%, სომხები 6%, ბერძნები, გერმანელები და ებრაელები ცალ-ცალკე 3%. ეგზამენები უთავდებათ ექვსს ივანობისთვეს და მაშინ გვარებიც მოხსენებული იქნება, ვინ გაათავებს.

⁂ **ქ. გორი. ქურდების აღმოჩენა.** წარსულს მაისის 17-ში, ღამე,

---

ვა წარსული 1896 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა:

შემდეგი საკითხი ეხებოდა 500 მანათის მოპოებას შენობის გასაფართოებლად და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ოთხი წელიწადია, რაც აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი შენობა ააგო სკოლისათვის, მაგრამ დღეს ეს შენობა ვიწრო შეიქმნა, ასე რომ 80-დის მოწაფეს თუ დაიტევს, მეტს არა. ამ ჟამად-კი 100 ზე მეტი ვაჟი და ქალი და სწავლობს სკოლაში. როგორც სკოლის გამგემ განუმარტა საზოგადოებას, საჭიროა სკოლის შენობის გაფართოება, რადგანაც ჰიგიენის მხრით შეუძლებელია იმდენი ბავშვების ყოფნა სკოლაში, რამდენიც დღეს არისო. ამის შესახებ ადგილობრივმა სამოსწავლო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ შუა წელში დაგვეთხოვა სკოლიდგან ათი მოწაფე მაინც, მაგრამ არც მშობლების მხრით და არც სხვა მოსაზრებითაც ბავშვების დათხოვნა შეუძლებელი ვერ შეიქმნა და ამიტომ 10—15 მოწაფისათვის ზამთარში ცალკე სწავლება იქმნა დანიშნულიო გაზაფხულამდის, როცა შესაძლებელი იქმნება კარების და ფანჯრების ღლებით ოთახის ჰაერის ხშირად გაწმენდა, გასუფთავებაო. მიუხედავად მოწაფეთა ამდენის რიცხვისა, რამდენსამე მოწაფეს უარი უთხარით სკოლაში მიღებაზე ადგილის უქონლობისა გამო და დავაიმედეთ, რომ შემდეგში მიგიღებთო. ამ ნაირად, თუ არ გვინდა, რომ სწავლის წყურვილი, რომელიც ასე თანდა-თან მატულობს ხალხში, მოუსპოთ, მით უმეტეს რომ სხვა აქაურს სკოლებში ქართველ ბავშვებს არ ღებულობენ რუსული ენის უცოდინარობისა გამო, ფრიად საჭიროდ მიაჩნია სკოლის პედაგოგიურს რჩევას, გაფართოებული იქმნას სკოლის შენობა. ამ წინადადებამ ორნაირი აზრი გამოიწვია, ზოგნი ამბობდნენ, განსაზღვრეთ მოწაფეთა რიცხვი 80 მდის და მეტს ნუ მიიღებთ სკოლაშიო, რადგანაც მოწაფეთა რიცხვის მომატებას აუცილებლად მასწავლებლის მომატებაც დასჭირდება და ამისათვის არავითარი სალსარი არ მოეპოვება სკოლის სამზრუნველოსაო და მასთან აუცილებლად რამდენიც ცოტა იქნება მოწაფეთა რიცხვი, იმდენი სწავლებაც უფრო წარმატებით წავაო და ხარჯიც ნაკლები იქნებაო. ამის წინააღმდეგ წარმოითქვა ის აზრი, რომ კანონის მიხედვით ერთს მასწავლებელს შეუძლიან 60-მდის მოწაფეს ხელმძღვანელობა გაუწიოს, დღეს ორი მასწავლებელი გვყავს და თუ მოწაფეთა რიცხვი 120-მდის ავა, ეს დიდსა და აუტანელს სიძნელეს არ შეადგენს მასწავლებელთათვისო, მაგრამ უმეტესობა იმ აზრს დაადგა, რომ განისაზღვროს მოწაფეთა რიცხვი 80-მდისო და სხ. საზოგადოების კრებას ბაასი ჰქონდა აგრეთვე სკოლის ეზოს შეღობვაზე და სკოლის სახურავის შეღებვაზე. ეს ისეთი საგნებია, რომლის შეუსრულებლობა აუცილებლად მავნებელია, ამისათვის საზოგადოების კრებამ დაადგინა ეს ორი საგანი, რაც-კი შეიძლება, დროზე იქმნას სისრულეში მოყვანილი და რადგანაც სამზრუნველოს ამის დასაკმაყოფილებლად ფული არ მოეპოვება, ამტომ კრებამ გადასწყვიტა ხელის მოწერის გამართვით ერთმანეთში შეგროვდეს იმდენი თანხა, რომელსაც შეეძლოს ხსენებული საგნების დაკმაყოფილება. იქვე გაიმართა ხელის მოწერა და ორას მანათამდის ფული შეგროვდა. მოხსენება ბ. მოზდოკელიშვილისა, საამხანაგო სადრაფის გახსნის შესახებ, კრებამ მოისმინა, მაგრამ თვითონ ბ. მოზდოკელიშვილის სხვაგან მყოფობისა გამო გადასდო სხვა დროსთვის. ამ საგნის შესახებ ჩვენ ცალკე წერილში ვაცნობებთ მკითხველებს: აგრეთვე ცნობებს, რომელიც შეეხება ქართველი მღვდლის დანიშვნის საქმეს და საკუთარ ქართველთა სამრევლოს დაარსებას.

სკოლის სამზრუნველომ დაურიგა კრებას რუსულად დაბეჭდილი სია ყველა პირთა, ვისაც-კი რამე შეუწირავს სკოლისათვის სკოლის დაარსების დღიდგან, 1888 წლიდგან, 1897 წლის თვრამეტ მაისამდის. ამ სიაში მოხსენებულია სულ ყველას სახელი და გვარი და რაოდენობა შეწირულობისა. მსხვილ შემწირველებათ არიან: პატივცემული დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი (760 მ.), ალ. აფრიამოვი (105 მ.), ნ. ბალანჩივაძე (165 მ.), ივ. გვარამაძე (110 მ.), ალ. გაზალოვი (290 მ.) პავ. გვარამაძე (104 მ.), არტ. გაზალოვი (270 მ.), მიხ. ჯაფარიძე (120 მ.), ალ. ივანოვი (100 მ.), სოფ. კულიკოვსკაია (30 მ.), ტ. კახიძე (150 მ.), მიხ. ყიფიანი (125 მ.), მ. კალანდარიშვილი (245 მ.), ნ. მაჭავარიანი (116 მ.), დ. მაჭავარიანი (130 მ.), გრ. მოზდოკელიშვილი (180 მ.), იოსებ მოზდოკელიშვილი (470 მ.), სტ. პოპოვი (260 მ.), თ. ეროთეოს სიდომონოვ-ერისთავი (160 მ.), თ. არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე და კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა (200 მ.), დ. შავთვალოვი (110 მ.), იოსებ შილევი (235 მან.).

Lonis.

ს. ატენში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ქურდობა. ვიღაც ქურდებმა გაძარცვეს ბ. ავგუსტი ზეზემანის სახლი, საიდგანაც გაიტანეს მრავალი ნივთები და ვერცხლეული, თითქმის ღირებული 3000 მანათად. სამი დღის შემდეგ, გაჰქურდეს მუშების სადგომი გორის სადგურზედ, საიდგანაც გაიტანეს 118 მან. ფული და მუშების ტანისამოსი. რასაკვირველია, მათ საპოვნელად და ავაზაკების დასაჭერად მიღებული იქმნა ჯეროვანი ზომები. ეს ორი შემთხვევა ისე ზედიზედ მოხდა, რომ დაიბადა რაღაცა ეჭვი, რომ ორსავე ამ შემთხვევას უნდა ერთმანეთში ჰქონოდათ, ბევრი თუ არა, ცოტა რაიმე დამოკიდებულება. დიახ, ამ საქმეში ნასკვის პოვნა ძლიერ ადვილი არ გახლავთ, ისე ბნელით იყო მოცული ორივე შემთხვევა, მაგრამ გამოცდილებამ ამ საქმეში და გამჭრიახობამ მაინც თავისი გაიტანა და ის ჯანღით მოცული საქმე მზიან დღესავით გაანათლა. 27 მაისს, ხიდისთავის ბოქაულის თანამდებობის დროებით აღმასრულებელმა ბ. დავრიშოვმა ზეზემანის შპალების ქარხანასთან დაიჭირა ერთი ოსი, გვარად გაზაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ერთი სალფეტკი, 29 მანეთი 50 კ. და ერთიც ხელსახოცი, რომელიც თავისად იცნო ერთმა მუშა-თათარმა. იმდღესვე ქ. გორში იპოვეს, 6 ვერცხლის საჭმლის კოვზი, 6 ჩაისა, ისიც ვერცხლისა, 7-დესერტისა და 1 ჩაის საწურავი,—ესენი მიეყიდნა ვიღაცა ოსს ქ. გორის მცხოვრებთათვის სანო მახარობლიშვილისთვის და გიორგი სარქისოვისთვის, რომელსაც მიეყიდნა გორის მე-2 გილდის ვაჭარ ზაქარია ლონდაროვისათვის. დავრიშოვმა რაღაცა ალღო აიღო, რომ უეჭველად ამ ნივთების გამყიდველი ის ოსი გაზაშვილი უნდა იყოს, რომელიც მან დაიჭირა შპალების ქარხანასთან. გამოკითხვის დროს გაზაშვილი გამოტყდა ბ. ზეზემანის სახლის გაქურდვაში, ხოლო მეორე-კი თავს იმართლებდა, რომ მე არ ვყოფილვარო. მან თვითონვე უჩვენა ის ადგილი, სადაც შეინახა მოპარული ნივთები. ს. ატენისავე სიახლოვეს იპოვეს, თვით ზეზემანისავე თანადასწრებით, ერთი კარგა მოზრდილი ტომარა სხვა-და-სხვა ძვირფასის ნივთებით. ბ-ნი დავრიშოვი ეკუთვნის იმ გამოცდილ ბოქაულთ, რომელთაც ქვას ქვეშაც-კი არა დაემალებათ-რა, რადგანაც მაგას არა ერთი შესაფიქრებელი და ბურუსით მოცული ავაზაკობა გამოუაშკარავებია და გამოუქვეყნებია. მაგალ., მამალაძის გაქურდვა, სააკოვის ქვრივისა და მრავალ სხვათა. და მასვე აქვს იმედი, რომ ჩქარა დანარჩენს ქურდბაცაცებსაც გაბაწრავს, რომელთაც მიუღიათ მონაწილეობა მუშების სადგომის გაძარცვაში. დამნაშავე გაზაშვილი დაჭერილია და გამოძიება სწარმოებს.

— **ამინდი და დარები.** აქამდე წვიმებმა გაგვიჭივრეს საქმე და ახლა-კი სიცხემ: ეს ორი დღეა, ისეთი ცხარე მზე დგას, რომ „ქაჩალს თავსა სწვავს". მაგრამ არც დიდი ხანი გვაყვედრებინა და 3 თიბათვეს, საღამოთი, მოიღრუბლა და ცოტაც წამოგვიშინა და დიდს წვიმას გვიქადის, თუ ღმერთმა ჰქნა და ზედ სეტყვაც არ მოჰყვა, ხომ ძლიერ მადლიერნი დავრჩებით ზეცისა გაგრილებისათვის და ქუჩების მორწყვისათვის, თორემ თავისს დღეში ჩვენს განათლებულს ქალაქს არა ჰღირსებია მორწყვა. წვიმაა—ტალახი აჭირვებს საქმეს, მერე როგორი ტალახი! თუ შიგ კაცი ჩავარდა, მოუცურებლივ ვერ გამოვა—და თუ მშრალობაა, მტვერი, რომელიც გვივსებს თვალებს.

ალ. ალაზნისპირელი.

⁂ **ს. ტეზერი. უმიზეზოდ დაჭრილი.** ჩვენში ამას წინად ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. 22 მაისს, საღამოს 5 საათზედ, სოფ. ტეზერის მცხოვრები აზნაური აბესალომ იოს. ორჯონიკიძე მიდიოდა დაბა სურამიდამ ტეზერში. გზაში შეჰხვდა შორაპნის მაზრის ს. ხარაგაულის მცხოვრები ნიკოლოზ იაგორის ძე ნემსაძე. მან სრულიად უმიზეზოდ დასჭრა იგი, ორჯონიკიძე, თავში და მოჰკვეთა ხმლით მარცხენა ხელის ცერი. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **დ. სამტრედია** (იმერეთი). **პარკის ფასის აწევა.** 28 მაისს ყიდულობდნენ თათრები პარკს სოფლელებიდამ 18 და 20 კაპიკად გირვანქას; ნესტორ აბრამიძემ ერთბაშად ასწია ფასი და გირვანქა 25 კაპ. გახადა, თორემ, თქვენი მტერია, თათრები ჩვენს ღარიბ ხალხს ტყავს გააძრობდა. რომ ნ. აბრამიძეს არ აეწია ფასი, აბაზის მეტს არავინ მოგვცემდა გირვანქაში. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 2,000 მანათი მაინც შეგვძინა სოფლელებს აბრამიძის ასეთმა საქციელმა. რასაკვირველია, როცა აბრამიძემ ასწია პარკის ფასი, მაშინ სხვებმაც მოუმატეს ფასი. ჩვენ, სოფლელები, დიდს მადლობას ვუძღვნით ბ-ნს ნესტორ აბრამიძეს, რომელმაც ასეთი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა ხალხის მიმართ. ჩვენი სულის-ჩამდგმელი 1-ლი აბრეშუმია და მე-2-ე სიმინდი. აბრეშუმი წელს კარგად მოგვივიდა, რადგანაც კარგი ამინდები იყო, მხოლოდ სიმინდმა დაგვტოვა უმოწყალოდ. სიმინდის ფასი დღეს 8 კაპიკს არ აღემატება. ვენახებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანა.

სოფლელები.

⁂ **დ. საჩხერე.** (ზემო იმერეთი.) **უსუფთაობა და ახალი იჯარადარი.** დღემდე დაბის სისუფთავისათვის ჩვენ თვითონა ვზრუნავდით. ყველანი თითონა ჰგვიდნენ თავ-თავის კარმიდამოს. დღეს ნაგვის გატანა და სისუფთავის დაცვა ერთმა იჯარადარმა იკისრა. განაჩენით ამ იჯარადრისათვის შეძლებულს ორი აბაზი უნდა ეძლია თვეში, ხოლო ღარიბსა და ხელ-მოკლეს—შაური. გავიდა რამდენიმე დღე. დაბა თითქო უყურადღებოდ დარჩაო. ეს ხომ ასეა,—თქვენ ახლა ხვედრის ფულის აკრეფის საქმე იკითხეთ! გაწერის დრო რომ დადგება, არჩეულები ორ ორ აბაზის მაგიერად ორ მანათ-ნახევარს ახდევინებენ შეძლებულებს, ხოლო ღარიბებს—თითო აბაზს. ფული რის წვალებით მოგროვდება. ჩვენა გვგონია, იჯარადარს აძლევენო, და ის-კი წუწუნებს, კაპეიკი არ მომცეს და მშიერი ვკვდებიო. ერთი მეურმეცა სტირის, მიმსახურეს და სასყიდელი არ მომცეს, თუმცა მარტში ჩემი გასასტუმრებელი ფული აჰკრიბესო. იმედი გვაქვს, ვისიც ჯერ-არს, ყურადღებას მიაქცევს ჩვენის დაბის გაჭირვებულს ყოფას და რამე ღონეს იღონებს უწესოების მოსასპობლად.

⁂ **სამურზაყანო. ეკლესიის გაქურდვა.** ამაზე წინად აქ ნაბაკევის ეკლესია გაქურდეს. ბოროტ-მოქმედთ გარედან კარები ჩაუმტვრევიათ, შესულან შიგ და ეკლესიაში რაც რამ სამკაული იყო, ყველაფერი გაუზიდნიათ. ავაზაკები ჯერაც ვერ უპოვნიათ.

ადგილობრივს საოლქო ადმინისტრაციას იმედი არა აქვს ავაზაკების აღმოჩენისა და ამიტომ, საგუბერნიო მთავრობას მიჰმართა თხოვნით, ნება მოგვეცით, ხსენებულს ეკლესიას რაც რამ ზარალი მოუვიდა, მთელს ნობაკევის საზოგადოებას ვაზღვევინოთო. ეკლესიის გაქურდვა აქეთკენ ხშირია და ამიტომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ეკლესიის ყარაულთა რიცხვს მოუმატა და მათი ჯამაგირები სოფლებს გააწერა.

⁂ **შეწირულობა.** არჩილ ხვედლიანის სახსოვრად წიგნის გამოსაცემად შემოსწირეს ფული შემდეგმა პირებმა:

თვითო მანეთი გ. მაისურაძემ, ს. მაისაშვილმა, ინასარიძემ, იაკობ სირაძემ. მიხ. ქავთარაძემ, გ. ზაზიაშვილმა, ათ ათი შაური: მესხმა, კალიევმა, ნ. ბადრიძემ ბალუზოვმა ბ. ჩალარიძემ, სიმონ ჭელიძემ, შიო ქუჩუკაშვილმა. ორ-ორი აბაზი: ვ. გიწმარიაშვილმა. სამი აბაზი. კოტეტოვმა. ექვს-ექვსი შაური. აღდგომელაშვილმა, ნ. დანიელოვმა, ან. კაციტაძემ, ჩიჩაკაძემ, იას. კალანდაძემ, კოსტა გოქაძემ მ. ჩალაძემ. ხუთ ხუთი შაური. მანთაშოვმა, მინდიაშვილმა, მ. გაბრაელოვმა, ად, ადამიძემ ილ. ლომიძემ, გ. ასატოვიჩმა, კ. ჩერქეზიშვილი დ. ნატრაძე გ. ნატრაძე. თითო აბაზი. გ. დულიხანოვმა, გრ: ბარიზაშვილმა, არ. ულოშვილმა, მაისურაძემ თედოშვილმა, მ. ქაჯაიევმა, ქაჯაიამ, კაპანაკოვმა, ჯიმუხაძემ, აღნიაშვილმა, მჭედლიშვილმა, ი. ქიტიევმა, აბრამოვმა, ტეტუნაშვილმა, სიზანოვმა, შახბარანოვმა, გულიაშვილმა, კასტანგოვმა, ახნაზაროვმა, ნ. კასტანგოვმა, პეტრიაშვილმა, მეტრეველმა, ბერიძემ, ის. ხაშიევმა, ქურთაშვილმა, დ. ნონიკაშვილმა. სუტიაშვილმა, აშაყალაშვილმა ბიეზრიშვილმა ს. სხირტლაძემ, ალ. ნასყიდოვმა, მალ. გაგაევმა, კიკნაძემ, მ. აბოვიანცმა, ბეჟ. შარვაძემ, ბერაკაშვილმა, ვ. გიორგობიანმა ა. რატიანიძემ, ბ. ბეგიჯანოვმა მ. ხიდურელმა, მ. ილურიძემ, კავლიშვილმა ან. გულიევმა, ლომიძემ, დ. კილაძემ. ილ. ყანჩაველმა, პავ. დათეშიძემ, რ. კვანჭატირაძემ, კარაპეტოვმა, გ. გუტივაძემ. ან. მანტარიძემ, ს. ნადიროვმა, გრ. ჩანტლაძემ პ. სამსონიამ გ. სააკოვმა, კობახიძემ, ჩინკლაშვილმა, აზ. გვიმრაძემ, ნატიევმა, ვ. სულხანიშვილმა, გ. საამოვმა, ლ. ნატრაძემ, მაჭავარიანმა, მოდებაძემ, კობახიძემ ლექსომ, ლეჟავამ, ჩხაიძემ, მ. აგაბეგოვმა, სიგგერაძემ, მალხაზამ, გ. ჭყეტაშვილმა ნ. ბეზეკაშვილმა, გ. ბედხუზაშვილმა, ვ. სანკლაძემ მ. ყანწიაშვილმა ლ. დათიაშვილმა, ვ. მირზაშვილმა პ. წერეთელმა, ს. სოხაძემ. სამ-სამი შაური: ივ. დარჩიამ, არ. ხაფთასიამ, გ. ბერიძემ №№-ბმა 1 მ. 72 კაპ. სულ 33 მ. 02 კ.

იოსებ იმედაშვილი.

ჩვენი ადრესი: გიორგიევის ქუჩა (ქალაქ. ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახლში № 12 წიგნის მაღაზიაში.

განცხადებანი

Учебникъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. М. Насидзе.
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. магаз. „Общества распостр. грам.".
(10—9)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი"

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებლს 5% დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—74 მანათი და 50 კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5.000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან**, ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество
„ЯКОРЬ"

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края **ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.**
Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.
Телефонъ управленія № 51. (100—29)

Боржомскій стеклянный заводъ
имѣетъ честь довести до свѣдѣнія, что
Представительство
и **ИСКЛЮЧИТЕЛЬНОЕ ПРАВО ПРОДАЖИ,**
издѣлій завода въ г. Тифлисѣ и его окрестностяхъ передано
инженерамъ
Яралову и Алиханову,
къ которымъ и проситъ обращатся какъ съ заказами, такъ и за всякаго рода свѣдѣніями и справками.
БОРЖОМСКІЙ СТЕКЛЯННЫЙ ЗАВОДЪ
Управляющій **Августъ В. Эркслебенъ.**
Главная контора инженеровъ Яралова и Алиханова помѣщается въ г. Тифлисѣ, на Александровской улицѣ въ собст. домѣ. (Телефонъ № 9); **оптовый же складъ бутылокъ**—въ зданіи г. Долуханова, близъ вокзала, (рядомъ со складомъ винъ Торговаго Дома кн. З. А. Джорджадзе и К°.)

ბორჯომის შუშა-მინის ქარხანა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ ქარხნის ხელობა და სხვა-და-სხვა ნაწარმოები იყიდება განსაკუთრებით
ინჟენერ
იარალოვისა და ალიხანოვის ქარხანაში
ყველანი ამ ქარხანას მიჰმართავენ ყოველგვარ შეკვეთისათვის.
ბორჯომის შუშა-მინის ქარხნის გამგებელი ა. ვ. ერკსლებენ.
(100—32)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.